



ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა სტეფანწმინდა

N 4



05/01/2019

4-01-4-201901050001

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების

შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

მუხლი 1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

მუხლი 2. მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განვითარების სამსახურს, მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედახედველობის სამსახურსა და მერიის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.

მუხლი 3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

მუხლი 4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების

დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

მუხლი 6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

1. დავით ქირიკაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. ჯემალ სუჯაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განვითარების სამსახურის უფროსი;
3. დიმიტრი შიოლაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედახედველობის სამსახურის უფროსი;
4. ვასილ კურკუმული - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
5. ზვიად ჩოფიკაშვილი - მერის წარმომადგენელი დაბა სტეფანწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში;
6. ელბერდი პაპიაშვილი - მერის წარმომადგენელი სნოს ადმინისტრაციულ ერთეულში;
7. ქეთევან მაისურაძე - მერის წარმომადგენელი სიონის ადმინისტრაციულ ერთეულში;
8. ლარისა ხოსიშვილი - მერის წარმომადგენელი გორისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში;
9. გივი ჩქარეული - მერის წარმომადგენელი კობის ადმინისტრაციულ ერთეულში;
10. ვაჟა ლუღუშაური - მერის წარმომადგენელი გუდაურის ადმინისტრაციულ ერთეულში;


მუხლი 7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

მუხლი 8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ

სასამართლოში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა

აღ.ყაზბეგის ქ. N76 გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თამაზ ალიბეგაშვილი



მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია